

რეაგირება

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს შენიშვნებზე (წერილი N 21/2083 (30/05/2022))

№	შენიშვნა	რეაგირება
1.	გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ ზღრ-ის ნორმების პროექტში არ არის წარმოდგენილი ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილში არსებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ფონური კონცენტრაციების ლაბორატორიული კვლევის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. ზღრ-ს ნორმების პროექტის პარაგრაფი 6.1. და დანართი 1. ზღრ-ს ნორმების გადაანგარიშება მოხა წარმოდგენილი მომაცემების საფუძველზე.
2.	დაზუსტებას საჭიროებს გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ ზღრ-ის ნორმების პროექტში წარმოდგენილი გამწმენდი ნაგებობის ძირითადი პარამეტრების ცხრილი 3.2.5.1-ში გამწმენდი ნაგებობაში შემავალ ჩამდინარე წყლებში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩამონათვალი.	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის ცხრილი 3.2.5.1. და ზღრ-ს ნორმების პროექტის ცხრილი 4.2.4.1.
3.	შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი გზშ-ის და ზღრ-ის დოკუმენტებში წარმოდგენილი გამწმენდი ნაგებობის ძირითადი პარამეტრების ცხრილსა (3.2.5.1.) და ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მდგომარეობა გაწმენდამდე და გაწმენდის შემდგომ ცხრილში (3.3.2.) მოცემული ჩამდინარე წყლების დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩამონათვალი.	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის ცხრილები 3.2.5.1., 3.3.2. და 3.3.3. ასევე ზღრ-ს ნორმების პროექტის ცხრილები 4.2.4.1., 4.2.5.2. და 4.2.5.3.
4.	ზღრ-ის ნორმების პროექტში არ არის წარმოდგენილი რა გათვლებით იქნა მიღებული ჩამდინარე წყლების რაოდენობა.	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. ზღრ-ს ნორმების პროექტის პარაგრაფი 5.
5.	დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციით, ტიპიურ სისტემებში გაწმენდის ზოგადი ეფექტურობა ხასიათდება შემდეგი მნიშვნელობებით - TSS (შეწონილი ნაწილაკები) მოცილება აღემატება 87%-ს, საერთო აზოტი - 79%, ჟბმ - 86%, ჟქმ - 86% და კიდეც უფრო მეტი, რაც განსხვავდება დაგეგმილი გამწმენდი ნაგებობის ეფექტურობისგან და საჭიროებს დაზუსტებას.	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 4.4.